გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება №98

2023 წლის 9 ივნისი

ქალაქი გორი

ფიზიკური პირისთვის, თამაზ შიოშვილისთვის (პ/ნ 59001018393) აღნაგობის უფლების გასხვისებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

2020 წლის 15 დეკემბერს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ფ.პ. თამაზ შიოშვილს პ/ნ 59001018393 შორის გაფორმდა სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენდა კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 2041.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი N66.46.26.003.058.

ფ.პ. თამაზ შიოშვილმა (პ/ნ 59001018393) 2023 წლის 11 მაისის N19/2023131202 განცხადების საფუძველზე მოითხოვა მუნიციპალიტეტის თანხმობა, გაასხვისოს მისთვის გადაცემული აღნაგობის უფლება ფ.პ. ნიკოლოზ ხმიადაშვილზე (პ/ნ 59001013927). ხოლო, ფ.პ. ნიკოლოზ ხმიადაშვილმა (პ/ნ 59001013927) 2023 წლის 11 მაისის N19/202313157-20 განცხადებით, გამოთქვა სურვილი ფ.პ. თამაზ შიოშვილისგან მიიღოს აღნაგობის უფლება, სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებით.

2020 წლის 15 დეკემბერს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ფ.პ. თამაზ შიოშვილს პ/ნ 59001018393 შორის გაფორმდა სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულების პირობები, რომელიც უნდა შესრულებულიყო 2022 წლის 15 დეკემბრამდე, წარმოდგენილი ინფორმაციით პირობების ნაწილი შესრულებულია, კერძოდ: მიწის ნაკვეთზე აშენებულია შენობა-ნაგებობა, რაშიც ინვესტიციის სახით გაიხარჯა 100 000 (ასიათას) ლარზე მეტი. ხოლო იმ პერიოდში ქვეყანაში არსებული პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე, ფ.პ. თამაზ შიოშვილმა ვერ მოახდინა ხელშეკრულების პირობის სრულად შესრულება, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ფ.პ. თამაზ შიოშვილი მიიღებს თანხმობას გაასხვისოს აღნაგობის უფლება ფ.პ. ნიკოლოზ ხმიადაშვილი იღებს ვალდებულებას 18 (თვრამეტი) თვის ვადაში უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის სრულად შესრულება, კერძოდ: უზრუნველყოფს შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებას და

კომერციული დანიშნულებით ფუნქციონირებას. ასევე, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ობიექტზე დაასაქმებ საქართველოს 10 მოქალაქე.

საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 235-ე მუხლის მიხედვით თუ მხარეთა შეთანხმებით აღნაგობის უფლების გასასხვისებლად ან გასაქირავებლად საჭიროა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა, მესაკუთრეს შეუძლია უარი თქვას ამ თანხმობის გაცემაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საამისოდ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი. ვინაიდან მითითებული ხელშეკრულებით სავალდებულოა მესაკუთრის თანხმობა აღნაგობის უფლების გასასხვისებლად და აღნიშნულ თანხმობაზე უარის თქმის მნიშვნელოვანი საფუძველი არ არსებობს, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს იმის თაობაზე, რომ ფ.პ. თამაზ შიოშვილს (პ/ნ 59001018393) მისცეს თანხმობა, გაასხვისოს 2020 წლის 15 დეკემბრის სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით მინიჭებული აღნაგობის უფლება ფ.პ. ნიკოლოზ ხმიადაშვილზე (პ/ნ 59001013927), ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ემუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122-ემუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 235-ემუხლის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, ფ.პ. თამაზ შიოშვილს (პ/ნ 59001018393) მისცეს თანხმობა აღნაგობის უფლების (საგანი: კარალეთის ადმინისტრაციულ ერტეულში მდებარე 2041.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ. 66.46.26.003.058) ფ.პ. ნიკოლოზ ხმიადაშვილზე (პ/ნ 59001013927) გასხვისებაზე, სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, რომლის სრულად შესრულებას ფ.პ. ნიკოლოზ ხმიადაშვილი (პ/ნ 59001013927) უზრუნველყოფს 18 (თვრამეტი) თვის ვადაში.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე